N 42 07/02/2017

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
გ.ჩავლეშვილის ანგარიშის მოსმენის სხდომის
ოქმი

2017 წელი, 7 თებერვალი
სოფ.ბოხვაური
14.30-15.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დ.დარჩია -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრის ამომრჩევლები
მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „რესპუბლიკელები“-ს და ფრაქცია „კოალიცია ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარეები: ვლ.ვადაჭკორია და თ.ბურჭულაძე.
საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თვმჯდომარე -დ.დარჩია მიესალმა და მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და განსაკუთრებით, ამომრჩევლებს, რომლებიც ინტერესდებიან მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებით და იჩენენ აქტივობას, აღნიშნა, რომ დაიწყო საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრის მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ამომრჩევლებისათვის ჩაბარება, განაცხადა, რომ გ. ჩავლეშვილი არის მაღალი პასუხისმგებლობის მქონე საკრებულოს წევრი,ერთერთი მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარე, აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციის, კომისიების მიერ პრობლემატური საკითხების განხილვა- გადაწყვეტაში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა გ.ჩავლეშვილმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის N131 მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ 2016 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ფრაქციის, კომისიების სხდომებზე და ამომრჩევლებთან შეხვედრებზე გაწეული მუშაობის ანგარიში.

ამომრჩევლებმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისაგან ითხოვეს რამდენიმე პრობლემატური საკითხის გადაწყვეტაში დახმარება:

ჭალის უბანში ამორტიზირებული გზის რეაბილიტაცია, ნასათიბვარის უბანში გზის მოხრეშვის სამუშაოების ჩატარება და ნასაკირალის ტერიტორიაზე არსებული, კერძო საკუთრებაში რეფორმის დროს გაცემული, მიწის ნაკვეთების დარეგისტრირება.

სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ აღუთქვა ამომრჩევლებს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მუნიციპალიტეტი გაუწევს დახმარებას არსებული პრობლემების მოგვარებაში.

ამომრჩევლებმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ თანამდებობის პირებს მადლობა გადაუხადეს ღონისძიებაში მონაწილეობისათვის და გამოთქვეს აზრი

საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასებულიყო დამაკმაყოფილებლად, რომელსაც სხდომის თავმჯდომარემ და სხდომამც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო